**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი** **2023 წლის 30 იანვარი**

**დისციპლინური საქმე №94/20**
**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2020 წლის 1 სექტემბრის №94 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 9 სექტემბრის №574/94-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 21 ოქტომბრის №94/20 გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 22 ოქტომბრის №94/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, განჩინების გამოცხადების შემდეგ მოსამართლემ სარკასტულად და ნიშნის მოგებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელს, „ეს განჩინება, რა თქმა უნდა, არ საჩივრდება ხო? რაც არ უნდა სასწაულებრივად მოგეჩვენოთ ქალბატონო --.“ საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლემ თავისი ქმედებით, აშკარად შეურაცხყოფა მიაყენა მხარეს.

1.2. -- -- მტკიცებით, მოსამართლის მიერ უკანონო განჩინების მიღება და მხარისათვის შეურაცხყოფის მიყენება ადასტურებს, რომ მოსამართლე დაინტერესებულია საქმის შედეგით. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოპასუხის ნათესავი არის -- მინისტრის პირადი დაცვის წევრი და შესაძლებელია, ის უხეშად ერეოდეს მოსამართლის საქმიანობაში.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2020 წლის 8 იანვარს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის, -- -- მიმართ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

2020 წლი 30 იანვარს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2020 წლის 4 თებერვლის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2020 წლის 27 თებერვალს. აღნიშნული სხდომის დანიშვნის შესახებ 2020 წლის 13 თებერვალს მხარეებს ეცნობათ

კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. 2020 წლის 27 თებერვალს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ვირუსი, მაღალი სიცხე) საქმის განხილვის გადადება მოითხოვა.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა 2020 წლის 27 თებერვალს გაიმართა. სარჩელის ავტორმა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოპასუხის შუამდგომლობას (სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე) არ ერთვოდა მისი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო ცნობა და ის ხელმოწერილი იყო არა მოპასუხის წარმომადგენლის, არამედ - ისეთი პირის მიერ, რომლის სახელზე გაცემული მინდობილობაც საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

2020 წლის 16 მარტს მოსარჩელემ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში არსებული უსწორობის გასწორების თაობაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს და სადავო უძრავი ნივთის საერთო ფართის ჩასწორება მოითხოვა.

2020 წლის 26 მარტს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და 2020 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე დაბრუნება მოითხოვა. განცხადების ავტორი აღნიშნავდა, რომ 2020 წლის 27 თებერვლის განცხადებაზე ხელს აწერდა არა მარტო მისი მეუღლე, არამედ თვითონაც და ამდენად, არ შეიძლება ჩათვლილიყო, რომ დოკუმენტი არ იყო ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. მას მართლაც აღენიშნებოდა მაღალი სიცხე და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ის იმყოფებოდა თვითიზოლაციაში.

2020 წლის 31 მარტის განჩინებით 2020 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. 2020 წლის 17 ივლისს მოსამართლე -- -- მიიღო განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სასამართლომ გაითვალისწინა, „... რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომამდე მეუღლის დახმარებით წარმოადგინა სხდომის გადადების თაობაზე განცხადება, ისევე როგორც ქვეყანაში ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით არსებული ვითარება და მხარის გამოუცხადებლობა საპატიოდ მიიჩნია.“ ამასთან, სხდომის აუდიო ოქმის გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ 2020 წლის 17 ივლისის სასამართლოს სხდომაზე (11:47), მოსამართლემ მიმართა სარჩელის ავტორის წარმომადგენელს (-- --) შემდეგი სიტყვებით, „ეს განჩინება რა თქმა უნდა არ საჩივრდება ხო, რაც არ უნდა სასწაულებრივად მოგეჩვენოთ ქალბატონო --... ანუ ანუს მერე რაც უნდა გეთქვათ ის სააპელაციოში, ეხლა დასრულებული არის განჩინების გამოცხადება...“

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 22 ოქტომბრის დასკვნა:**

3.1. -- -- 2020 წლის 1 სექტემბრის №94 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ (მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით) ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

3.2. -- -- 2020 წლის 1 სექტემბრის №94 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

**4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

**4.1.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესით, პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენით.

ხსენებული ნორმის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების მიკერძოებულად განხორციელება შეიძლება განპირობებული იყოს სამი ძირითადი ფაქტორით. კერძოდ, საქმის განხილვის საბოლოო შედეგთან ან კონკრეტულ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული მოსამართლის პირადი ინტერესით, ასევე, მოსამართლის პოლიტიკური შეხედულებებით ან/და სოციალური ზეგავლენით, რაც კონკრეტული საქმის გადაწყვეტის პროცესში მოსამართლის მიერ საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი ქმედების განხორციელებას გულისხმობს.

ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნის 23-ე აბზაცის თანახმად, „მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე,... მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი რაიმე სახის განსხვავების გარეშე...“. ამასთან, ხსენებული დასკვნის 21-ე აბზაცის მიხედვით, „მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში.“

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; ობიექტური ტესტით უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria* §28 და §30; *Wettstein v. Switzerland*, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (*Pullar v. the United Kingdom*, §32).

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მხარეთა თანასწორობა მოითხოვს, მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის არსებობას, რათა თითოეულ მხარეს ეძლეოდეს გონივრული შესაძლებლობა, დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია ისეთ პირობებში, რომლებიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად წამგებიან მდგომარეობაში არ ჩააყენებენ (SCHULER-ZGRAGGEN v. SWITZERLAND, §§50-52).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის, „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მეორე მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში სამოქალაქო საქმეები განიხილება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის

პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმეზე ჩატარდა 2 სასამართლო სხდომა. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე თანაბარ შესაძლებლობას აძლევდა ყველა მხარეს გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები საქმესთან დაკავშირებით. მოცემულ საქმეზე აუდიო ოქმების მოსმენის შედეგად, შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის, რომელიმე მხარისადმი რაიმე უპირატესობის მინიჭების, მოსამართლის შესაძლო ტენდენციურობის ან რაიმე სახის მიკერძოების ფაქტები არ გამოვლენილა.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის ეჭვს იმის შესახებ, რომ მოსამართლე დაინტერესებულია საქმის შედეგით, ვინაიდან, მოპასუხის ნათესავი არის -- მინისტრის პირადი დაცვის წევრი და შესაძლებელია, ის ერეოდეს მოსამართლის საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ მოპასუხის ნათესავის იუსტიციის სამინისტროში მუშაობა არ წარმოადგენს მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საკმარის საფუძველს და უტყუარი მტკიცებულებების გარეშე ვერ ადასტურებს მოსამართლის მიკერძოების ან მასზე ზეგავლენის მოხდენის ფაქტს. ამდენად, მხარის მიერ მითითებული გარემოება ვერ მოახდენდა გავლენას და ვერ შეუქმნიდა საფრთხეს მოსამართლის მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვას.

**4.2.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.“

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ბანგალორის პრინციპების 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან. ხოლო, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

მოცემულ საქმეზე, სხდომების აუდიო ჩანაწერის დეტალურად მოსმენის შედეგად, სხდომაზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენელს მოსამართლემ მიმართა შემდეგი სიტყვებით: - „ეს განჩინება რა თქმა უნდა არ საჩივრდება ხო, რაც არ უნდა სასწაულებრივად მოგეჩვენოთ ქალბატონო --... ანუ ანუს მერე რაც უნდა გეთქვათ ის სააპელაციოში, ეხლა დასრულებული არის განჩინების გამოცხადება...“ (11:47; 17.07.2020 წ.).

მოცემულ შემთხვევაში აუდიო ოქმის მოსმენის შედეგად, სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ მხარის წარმომადგენლის მიმართ გამოყენებული სიტყვებისა და ტონალობის გათვალისწინებით,

დადგინდა, რომ მოსამართლის მხრიდან პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას არ ჰქონდა ადგილი.

**5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №94/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**